ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 3-15

24 თებერვალი
"---" -------- 2017 წ

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის № 7-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის № 7-28 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 08/04/2015 სარეგისტრაციო კოდი: 410080000.35.101.016141) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული წესის:

1. მე-2 მუხლის „კ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) *ცხოველის პატრონის დადგენის ან ახალი პატრონის მოძიების ქმედითი ღონისძიებები* - ამ წესით განსაზღვრულ შემთხვევებში, 10 დღის პერიოდით, ცხოველის ფოტოსურათების და მის შესახებ დეტალური ინფორმაციის (სახეობა, სქესი, ასაკი, ჯიში, გაწეული ვეტერინარული მომსახურება, მონაცემები ცხოველის პოვნის გარემოებების, მისი პატრონისა და ცხოველის მოვლა-პატრონობის პირობების შესახებ და სხვა) გამოქვეყნების უზრუნველყოფა უფლებამოსილი ორგანოს ვებ-გვერდზე, ასევე სხვა, ცხოველთა შესახებ არსებულ პროაქტიულ სივრცეში (ვებ-გვერდები, სოციალური ქსელები, ელექტრონული ფორუმები, სხვა მედია-საშუალებები);".

2. მე-6 მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. აკრძალულია ცხოველების შეყვანა სასურსათო მაღაზიებში, აფთიაქებში, საავადმყოფოებში, ასევე, იმ საზოგადოებრივი კვების ობიექტებში, დაწესებულებებსა და ტერიტორიებზე, სადაც არის შესაბამისი აკრძალვის ნიშანი.“

3. მე-8 მუხლის მე-14 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„14. ცხოველთა თავშესაფარში შეყვანილი ცხოველები ექვემდებარებიან სავალდებულო იდენტიფიკაციას და რეგისტრაციას/აღრიცხვას, თავშესაფრიდან მათ გაყვანამდე.“.

4. მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. ცხოველების ევთანაზია

1. ცხოველების ევთანაზია დასაშვებია მხოლოდ ჰუმანური მეთოდებით, მათთვის ფიზიკური ტკივილის და ფსიქოლოგიური ტანჯვის მიყენების გარეშე ან მინიმალურად მიყენებით, სპეციალური მედიკამენტების გამოყენებით, ამ წესით განსაზღვრულ შემთხვევებში და მოთხოვნების შესაბამისად.

2. ევთანაზიის გამოყენება შესაძლებელია იმ ცხოველების მიმართ, რომლებსაც კლინიკური კვლევებით ან დაკვირვების შესაბამის პირობებში და სპეციალური მეთოდიკით, ვეტერინარის და კინილოგის/ფელინოლოგის სავალდებულო მონაწილეობით შექმნილი კომისია (ფორმდება კომისიის აქტი) დაუდგენს:

ა) აგრესიულ ქცევას, რომელიც არ იძლევა ცხოველის თანაარსებობის საშუალებას ადამიანებთან ან სხვა ცხოველებთან ურთიერთობის პირობებში, მათ შორის იდიოპათიურ აგრესიას (უცაბედი სიბრაზის სინდრომი);

ბ) ადამიანებისა ან/და ცხოველებისათვის საშიშ დაავადებას;

გ) ძლიერ ტრამვებს ან/და დაზიანებებებს, რომლებიც არათავსებადია სიცოცხლესთან;

დ) III – IV სტადიის ონკოლოგიურ დაავადებებს;

ე) დამბლას, პარეზს და სხვა განუკურნებელ დაავადებებს;

ვ) შეუქცევად დაუძლურებას, მათ შორის სიბერის პროცესის გაღრმავების შედეგად;

ზ) ფიზიოლოგიურ ნაკლს (ახალშობილებში).

3. ევთანაზიის პროცედურების დასრულების შემდეგ, ვეტერინარი უნდა დარწმუნდეს, რომ ცხოველი მკვდარია, რის შემდგომაც დასაშვებია ცხოველის ლეშის პათანატომიური გამოკვლევა, დამარხვა, კრემაცია, ბიოთერმულ ორმოში მოთავსება.

4. ცხოველების ევთანაზია დაუშვებელია:

ა) დახრჩობით;

ბ) გაგუდვით;

გ) მოწამვლით;

დ) ელექტრომუხტის გამოყენებით;

ე) მექანიკური დაზიანების მიყენებით;

ვ) იძულებითი შიმშილით, წყურვილით;

ზ) ცეცხლსასროლი, პნევმატური, აირის თუ სხვა ტიპის იარაღის გამოყენებით;

თ) სხვა არაჰუმანური მეთოდებით.".

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე [signature] გიორგი ალიბეგაშვილი

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის № 7-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის № 7-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (შემდგომში - პროექტი) მომზადებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს, როგორც ამავე წესით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს მიერ, დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას პრაქტიკულად გამოვლენილი პრობლემური საკითხების მოწესრიგების და ნორმატიულ აქტში არსებული ტექნიკური ხასიათის ხარვეზების (ტერმინთა გამოყენება, მუხლის სტრუქტურა) აღმოფხვრის მიზნით. კერძოდ:

მართვის წესის მე-2 მუხლით განმარტებულია „ცხოველის პატრონის დადგენის ან ახალი პატრონის მოძიების ქმედითი ღონისძიებები“. წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია აღნიშნული ტერმინის სტილისტური გამართვა.

მართვის წესის მე-6 მუხლის მე-10 პუქტის თანახმად, „აკრძალულია ცხოველების შეყვანა სასურსათო მაღაზიებში, აფთიაქებში, საავადმყოფოებში, იმ საზოგადოებრივი კვების ობიექტებსა და დაწესებულებებში, სადაც არის შესაბამისი აკრძალვის ნიშანი“. წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია აღნიშნული ფორმულირების სტილისტური გამართვა და იმ ჩამონათვალის გაფართოება, რომლითაც დადგენილია ცხოველების შეყვანის აკრძალვის ადგილები. კერძოდ, არსებულ ჩამონათვალს დაემატება „ტერიტორიები, სადაც არის შესაბამისი აკრძალვის ნიშანი“.

მართვის წესის მე-8 მუხლის მე-14 პუქტის თანახმად, „ცხოველთა თავშესაფარში შეყვანილი ცხოველები (ძაღლი, კატა) ექვემდებარებიან სავალდებულო იდენტიფიკაციას, თავშესაფრიდან მათ გაყვანამდე.“ აღსანიშნავია, რომ ცხოველების მხოლოდ იდენტიფიკაციის პროცედურა სრულად ვერ პასუხობს ცხოველთა ერთიანი აღრიცხვის ბაზის (აწარმოებს სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო) დანიშნულებას და ამოცანებს, ვინაიდან ურბანულ გარემოში დაფიქსირებული და მხოლოდ იდენტიფიცირებული ცხოველის (რეგისტრაცია-აღრიცხვის გარეშე) იდენტიფიკატორით შეუძლებელია კონკრეტულ ცხოველთან დაკავშირებით რაიმე ინფორმაციის მიღება. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია აღნიშნული ფორმულირების სტილისტური გამართვა და თავშესაფარში მოხვედრილი ცხოველების სავალდებულო იდენტიფიკაციის პროცედურისთვის „სავალდებულო რეგისტრაციის/აღრიცხვის“ პროცედურის დამატება.

ასევე, წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია მართვის წესის მე-9 მუხლის სტილისტური გამართვა.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი (დამატებითი) ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

გ) პროექტის ავტორი (ავტორები):

პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო.

დ) პროექტის წარმდგენი:

პროექტის წარმდგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.